პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 3 (374) მარტი 1972 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ვ. დავითულიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. მ. თათარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ლ. მარდალეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ქადეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. [illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. გ. ს. ზედგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ე. პ. კირილიუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. მალაზონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
სინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

43 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის 9 დეკემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მითითებულია დანართში, 1972 წლის 1 აპრილიდან ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 მარტი.

დანართი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 მარტის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნ უ ს ხ ა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1927 წლის 5 სექტემბრის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1927 წელი, № 9, მუხ. 130)

2. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1930 წლის 26 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის პირველი კარის მე-IV თავის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 11, მუხ. 149).

3. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1930 წლის 9 ივლისის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსის 42, 43 და 54 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 14, მუხ. 212).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სრულიად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 9 ივნისის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსის 41 მუხლის „გ“ პუნქტის და 52 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 49[1] მუხლის დამატების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 20, მუხ. 184).

5. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 27 ივლისის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსში 41, 52 და 53 მუხლების შეცვლისა, 53[1] მუხლის შეტანისა და 49[1] მუხლის გაუქმების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 18, მუხ. 264).

6. დებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპყრობილეებისა, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 28 ივნისის ბრძანებულებით.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 18 იანვრის ბრძანებულება „განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

44 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ **მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:**

1. ირდი ნესტორის ძე **დონდუა** — სასადილოების № 2 ტრესტის საზოგადოებრივი კვების 73-ე გაერთიანების მთავარი ბუღალტერი.
2. ვახტანგ ნიკოლოზის ძე **ქოროლლიშვილი** — თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის კოჯრის სტაციონარის სანიტარი.
3. დარია ვაზგენის ასული **წიკლაური** — კოჯრის № 2 საბავშვო სახლის მომვლელი.
4. ელისო აბრამის ასული **შავშიშვილი** — კოჯრის ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბსანატორიუმ „ალიონის“ მედდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

45 თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშაკებს მიენიჭოთ საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:

1. მარიამ აბრამის ასულ **ადიბეგოვას** — მკერავს.
2. თამარ სიმონის ასულ **ბაიდაურს** — პენსიონერს.
3. ვენერა ნიკოლოზის ასულ **ბაჩიაშვილს** — ცვლის ოსტატს.
4. ანა გრიგოლის ასულ **ბებუთაშვილს** — მკერავს.
5. თამარ გაბრიელის ასულ **ბითაძეს** — მკერავს.
6. ნინო მიხეილის ასულ **დათუაშვილს** — მკერავს.
7. შოთა პოლიკარპეს ძე **კაკაბაძეს** — მექანიკოსს.
8. მარინე კონსტანტინეს ასულ **ლაბაძეს** — მკერავს.
9. ლევან იოსების ძე **ლაფაჩიძეს** — ელექტრომონტიორს.
10. ვალიდა ნიკოლოზის ასულ **ლეგაშვილს** — ოსტატს.
11. ოლღა ალექსის ასულ **რუხაძეს** — პენსიონერს.
12. ნინო ილიას ასულ **სარაულს** — მკერავს.
13. თამარ ლუარსაბის ასულ **სიხარულიძეს** — წუნმდებელს.
14. მარგარიტა მელიქის ასულ **ხაჩატუროვას** — მკერავს.
15. თამარ ილიას ასულ **ხეჩიკაშვილს** — მკერავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1972 წლის 24 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

46 ამხ. შ. ვ. დავითულიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამხ. შალვა ვიქტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ძე **დავითულიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 3 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

47 ამხ. შ. მ. თათარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა **და** კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი **და** ნაყოფიერი **მუშაობისათვის**, **დაბადების** ორმოცდაათ **წელთან** დაკავშირებით, **საქართველოს** სსრ მინისტრთა **საბჭოს** სახელმწიფო **საგეგმო** კომიტეტის **თავმჯდომარის** პირველი **მოადგილე** ამხ. **შოთა** მიხეილის **ძე** **თათარაშვილი** **დაჯილდოვდეს** **საქართველოს** **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **საპატიო** **სიგელით.**

საქართველოს **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **თავმჯდომარე** **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **მდივანი** **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 3 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

48 ამხ. ნ. ლ. მარდალეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი **და** ნაყოფიერი **მუშაობისათვის**, **დაბადების** **სამოცდაათ** **წელთან** **დაკავშირებით**, **საქართველოს** **კომპარტიის** **ცენტრალური** **კომიტეტის** **საორგანიზაციო-პარტიული** **განყოფილების** **ინსტრუქტორი** **ნინო** **ლევანის** **ასული** **მარდალეიშვილი** **დაჯილდოვდეს** **საქართველოს** **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **საპატიო** **სიგელით.**

საქართველოს **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **თავმჯდომარე** **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **მდივანი** **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 3 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

49 ამხ. ვ. გ. ჭადეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხორცისა და რძის მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვახტანგ გრიგოლის ძე **ჭადეიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 3 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

50 ამხ. ნ. მ. ტრაპშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ნელი მიხეილის ასული **ტრაპში** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

51 პროფ. გ. ს. ზედგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი გიორგი სერგოს ძე **ზედგენიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

52 პროფესორ ე. ბ. კირილიუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

უკრაინასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ევგენი პროხორის ძე **კირილიუკი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**
თბილისი, 1972 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

53 ამხ. ვ. გ. მალაზონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ გიორგის ძე **მალაზონია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**
თბილისი, 1972 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 ამხ. დ. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგე ამხ. დავით ნიკოლოზის ძე **ციციშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**
თბილისი, 1972 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

55 შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და მეცნიერული მიღწევებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-**სამეურნეო ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 24 მარტი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 28 მარტის სხდომაზე განიხილა საკითხი გეგეჭკორისა და კასპის რაიონებში ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გეგეჭკორის და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესასრულებლად. საბჭოების უმრავლესობამ პირველ სესიებზევე განიხილა ამომრჩეველთა განაწესები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათს შესასრულებლად. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში აღმასრულებელმა კომიტეტებმა განიხილეს დეპუტატთა ანგარიშების ჩაბარებისას ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებანი და მათი შესრულების პერსპექტივები. აღმასრულებელი კომიტეტები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ დეპუტატებს თავიანთ მოვალეობათა შესრულებაში.

გეგეჭკორისა და კასპის რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების ყველა დეპუტატმა გასულ წელს ანგარიში ჩააბარა ამომრჩეველს. გეგეჭკორის რაიონული, ტალერის, დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოების და კასპის რაიონული, მეტეხის, კავთისხევის, ქვემო ჭალის და სამთავისის სასოფლო საბჭოების დეპუტატები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებათა და ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეში.

აღნიშნულ რაიონებში დეპუტატების ინიციატივით და ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა დასახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული პუნქტებისა და გზების კეთილმოსაწყობად, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამასთან ერთად გეგეჭკორისა და კასპის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების საქმეში გაეჩინათ ნაკლოვანებანი.

გეგეჭკორისა და კასპის რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი ყოველთვის არ ამოწმებს განაწესებისა და წინადადებების შესრულებას, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ყურადღებით არ ეკიდებიან ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხილვა-შესრულებას.

ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეში სუსტად მონაწილეობენ დეპუტატები. ისინი სისტემატურად არ აცნობებენ ამომრჩევლებს მათი წინადადებების განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ.

გეგეჭკორისა და კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო დახმარებას არ უწევენ ქვემდგომ საბჭოებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 28 მარტის სხდომაზე განიხილა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. დ. ქართველიშვილის მოხსენება და პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალები დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თავიდან აცილებისათვის ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით, გარკვეული მუშაობა ჩაატარა დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი პერიოდულად იხილავენ საკითხებს ქ. ქუთაისის სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევის საქმეში საქალაქო საბჭოს დეპუტატების მონაწილეობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის, თავისუფლების აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობისა და საქმეში წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ და სხვ; სისტემატურად ისმენენ ამხანაგური სასამართლოების, უბნის კომიტეტების თავმჯდომარეთა, მილიციის უბნის რწმუნებულთა და აღმასკომთან არსებული კოძისიების ანგარიშებს თავიანთი მუშაობის შესახებ.

უკანასკნელ ხანს მეტი ყურადღება ეთმობა დანაშაულობის ხელისშემწყობი პირობებისა და გამომწვევი მიზეზების გამოვლენასა და აღმოფხვრას. შემცირდა ხულიგნობა და სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. გაძლიერდა ბრძოლა მუქთახორობისა და ლოთობის წინააღმდეგ.

მოსახლეობაში ფართოდაა გაშლილი ახსნა-განმარტებითი მუშაობა კანონმდებლობის საკითხებზე, რაშიც აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი ცოდნის ორი სახალხო უნივერსიტეტი.

დანაშაულობის თავიდან აცილების საქმეში დიდ მონაწილეობას იღებენ ამხანაგური სასამართლოები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, სახლისა და უბნის კომიტეტები, რომლებშიც გაერთიანებულია 5000-მდე აქტივისტი.

გააუმჯობესეს მუშაობა ამხანაგურმა სასამართლოებმა. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში კარგადაა ორგანიზებული სახალხო რაზმეულების მუშაობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ლითოფონის ქარხნის სახალხო რაზმეულის საქმიანობა.

ამასთან, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებას დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღკვეთისათვის.

ამის შედეგია, რომ 1969-71 წლებში ქალაქში არ შემცირებულა დანაშაულობის საერთო დონე, იმატა ზოგიერთი სახეობის დანაშაულმა.

სუსტად მიმდინარეობს სასჯელმოხდილ პირთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, რის გამოც ბევრი მათგანი ჩაბმული არ არის შრომითს საქმიანობაში; სათანადო ყურადღება არ ექცევა მათთვის საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, ადგილი აქვს რეციდივული დანაშაულის შემთხვევებს. საგულისხმოა, რომ 1971 წელს რეგისტრირებულ ხულიგნობათა 66 პროცენტი ჩადენილია ისეთ პირთა მიერ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

დანაშაულობასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში აქტიურად არ არიან ჩაბმული ქალაქის მშრომელთა სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები, სახლებისა და უბნების კომიტეტები. სახლებისა და უბნების კომიტეტები ყოველთვის არ ეხმარებიან მილიციის ორგანოებს ბავშვთა უზედამხედველობის აღმოფხვრასა და მეზობლებს შორის არაჯანსაღი დამოკიდებულების მოგვარებაში, პარაზიტული ელემენტების გამოვლენაში.

ქალაქის ზოგიერთ სასწავლებელში და წარმოება-დაწესებულებაში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციას. არ უწევენ კონტროლს ორპროცენტიანი ანარიცხების გამოყენებასა ბავშვთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის. მუშა-ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებლებში არ არის საკმარისი კულტურული და სპორტული ინვენტარი, ზოგიერთ სპორტულ ბაზაში მოუწესრიგებელია გათბობისა და საშხაპე მეურნეობა.

ნაკლოვანებებით ხასიათდება პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამმართველოსა და სახალხო სასამართლოს მუშაობა. ადგილი აქვს ვადის დარღვევით და უხარისხოდ საქმეთა გამოძიებას და სასამართლო განხილვას. გაუარესდა სახალხო სასამართლოს განაჩენების სტაბილობა და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო ვრცელი დადგენილება და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 28 მარტის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დაჯილდოვა 290 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	10
ქ. ტყიბულიდან	6
ახალციხის რაიონიდან	4
ზუგდიდის „	3
დუშეთის „	4
ლაგოდეხის „	17
მარნეულის „	104
მახარაძის „	12
მცხეთის „	5
ორჯონიკიძის „	3
სამტრედიის „	3
საჩხერის „	9
სიღნაღის „	1
ყვარლის „	15
ქარელის „	11
ცაგერის „	5
წალენჯიხის „	14
წულუკიძის „	4
ჩოხატაურის „	4
ჩხოროწყუს „	8
ხაშურის „	12
ხობის „	7
სამხრეთ ოსეთის ა/ო	29